



საქართველოს აგროარული უნივერსიტეტი

წესდება

თბილისი,
2021 წელი



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

წესდება

მუხლი 1. სამართლებრივი სტატუსი

- 1.1. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
- 1.2. უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, #240.
- 1.3. უნივერსიტეტის ძირითადი მისამართისგან განსხვავებული მისამართია: ქ. თბილისი, ბერბუკის 10, ბინა 114.
- 1.4. უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართია: info@agruni.edu.ge.
- 1.5. სსიპ შემოსავლების სამსახურთან ურთიერთობებისათვის გამოიყენება შემდეგი ელექტრონული მისამართი: r.sreseli@agruni.edu.ge.
- 1.6. უნივერსიტეტს აქვს ლოგო, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
- 1.7. უნივერსიტეტის დევიზია - ცოდნა, შრომა, თავისუფლება; ლათინურად - Scientia, Labor, Libertas.
- 1.8. უნივერსიტეტი დაფუძნებულია განუსაზღვრელი ვადით.
- 1.9. უნივერსიტეტის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით.
- 1.10. უნივერსიტეტის დამფუძნებელია: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „აგრარული განათლებისა და მეცნიერების ფონდი“ (ს/კ 404891186; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # №240).

მუხლი 2. უნივერსიტეტის მისია და ხედვა

- 2.1. უნივერსიტეტის მისია ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის დონეებზე:
 - 2.1.1. შექმნას საქართველოში სწავლის, სწავლებისა და კვლევის საუკეთესო გარემო და ეს გარემო ხელმისაწვდომი გახადოს გამორჩეული ახალგაზრდებისთვის;
 - 2.1.2. სტუდენტებს ჩამოუყალიბოს თავისუფალ და კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული ღირებულებები, რათა მათ შეძლონ სხვადასხვა გარემოში ორიენტირება და ადაპტირება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

მიღება და იმ გამოწვევებისადმი შემოქმედებითი მიდგომა, რომელთაც მათ თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი სამყარო სთავაზობს;

2.1.3. ზრუნველყოს სწავლება და სწავლა ქართულ ენაზე, რათა ამ გზით ხელი შეუწყოს ქართული ენის განვითარებას, როგორც სამეცნიერო და საკომუნიკაციო ენა;

2.1.4. იყოს სტუდენტების ინტერესებზე და მათ შემდგომ წარმატებაზე ორიენტირებული.

2.2. უნივერსიტეტის ხელვა

2.2.1. თავისუფალი უნივერსიტეტი არის სტუდენტებსა და მათ წარმატებაზე ორიენტირებული მაღალი რეპუტაციის მქონე უმაღლესი სასწავლო დაწესებულება და საქართველოში უმაღლესი განათლების ლიდერი.

2.2.2. განათლების სამივე საფეხურზე, თავისუფალი უნივერსიტეტის პროგრამები ეყრდნობა ლიბერალური განათლების პრინციპებს, სტუდენტებს უვითარებს შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებასა და პრაქტიკულ უნარებს.

მუხლი 3. უნივერსიტეტის დამფუძნებლის უფლება-მოვალეობანი

3.1. უნივერსიტეტის დამფუძნებლის უფლება მოვალეობებია:

3.1.1. უნივერსიტეტის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

3.1.2. უნივერსიტეტის სახელით ვალდებულებათა აღება, რომლებიც არ განეკუთვნება უნივერსიტეტის ყოველდღიურ საქმიანობას;

3.1.3. უნივერსიტეტის კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

3.1.4. უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება, მასთან ხელშეკრულების გაფორმება და მისი საქმიანობის ზედამხედველობა;

3.1.5. წესდებაში ცვლილებების შეტანა;

3.1.6. ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

მუხლი 4. რექტორი

4.1. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭება რექტორს.



საქართველოს აგროარული უნივერსიტეტი

- 4.2. რექტორი უძღვება უნივერსიტეტის აკადემიურ, ადმინისტრაციულ და სამეცნიერო საქმიანობას, კერძოდ:
- 4.2.1. ნიშნავს აკადემიური საბჭოს წევრებს და ხელმძღვანელობს აკადემიური საბჭოს საქმიანობას;
- 4.2.2. კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ძირითადი ერთეულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) შექმნასა და განხორციელების პროცესს და ამტკიცებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს;
- 4.2.3. ამტკიცებს სტუდენტების მიღების წესს, კრიტერიუმებსა და პირობებს;
- 4.2.4. უზრუნველყოფს უნივერსიტეტში ხარისხის დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და გამართული მართვის მექანიზმების ფუნქციონირებას;
- 4.2.5. განსაზღვრავს უნივერსიტეტის სწავლების პოლიტიკას;
- 4.2.6. თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დეკანს/საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, დამფუძნებელთან შეთანხმებით;
- 4.2.7. თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის კანცლერს და პრორექტორებს დამფუძნებელთან შეთანხმებით და ზედამხედველობას უწევს მათ საქმიანობას;
- 4.2.8. იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის ძირითადი ადმინისტრაციული ერთეულების (სკოლა/ინსტიტუტი) შექმნისა და გაუქმების შესახებ, რომელსაც აღასრულებს კანცლერი;
- 4.2.9. აკადემიურ საბჭოს მიმართავს წარდგინებით საქართველოს აგროარული უნივერსიტეტის გამორჩეული პროფესორის და საქართველოს აგროარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის/ემერისტუსის განსაკუთრებული წოდებების მინიჭების თაობაზე;
- 4.2.10. ამტკიცებს აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს და აფორმებს ხელშეკრულებებს;
- 4.2.11. ქმნის უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს - სამეცნიერო, კვლევით, სასწავლო, საინფორმაციო და სხვა ცენტრებს დამფუძნებელთან შეთანხმებით, ამტკიცებს მათ დებულებებს; თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ასეთი ერთეულების ხელმძღვანელებს;
- 4.2.12. უფლებამოსილია შექმნას შესაბამისი სკოლისთვის/საგანმანათლებლო პროგრამისთვის საკონსულტაციო ორგანო - მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება შესაბამისი სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლებისგან;
- 4.2.13. იღებს გადაწყვეტილებას ფინანსური რესურსების გამოყენების თაობაზე. ამტკიცებს ბიუჯეტს და მისი შედგენის და შეცვლის წესს.



- 4.3. ახორციელებს სხვა ფუნქციებს, რომლებიც გამომდინარეობენ უნივერსიტეტის ყოველდღიური საქმიანობიდან.
- 4.4. ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და სხვა პროცესების მარეგულირებელ აქტებს.
- 4.5. ქმნის და აუქმებს კომისიებს, საბჭოებს, სამუშაო ჯგუფებს და განსაზღვრავს მათ შემადგენლობას.
- 4.6. რექტორი მისი უფლება-მოვალეობების ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს.

მუხლი 5. კანცლერი

- 5.1. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღებს უნივერსიტეტის პერსონალის მართვის შესახებ გადაწყვეტილებებს.
- 5.2. ქმნის და აუქმებს ადმინისტრაციულ კომისიებს, საბჭოებს, სამუშაო ჯგუფებს და განსაზღვრავს მათ შემადგენლობას.
- 5.3. პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ფინანსური საქმიანობის ორგანიზებაზე; ხელმძღვანელობს ბიუჯეტირების პროცესს - ადგენს და რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტს.
- 5.4. ახორციელებს სხვა ადმინისტრაციულ ფუნქციებს, რომლებიც გამომდინარეობს უნივერსიტეტის ყოველდღიური საქმიანობიდან.
- 5.5. კანცლერი მისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს.

მუხლი 6. აკადემიური საბჭო

- 6.1. აკადემიური საბჭო არის რექტორის საკონსულტაციო ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედიან ძირითადი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ერთეულების ხელმძღვანელები. რექტორის გადაწყვეტილების შესაბამისად აკადემიური საბჭოს სხდომაზე შესაძლებელია მოწვეულ იყვნენ სხვა პირებიც.
- 6.2. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ერთეულების ხელმძღვანელები შესაბამის პოზიციაზე დანიშნით ავტომატურად ხდებიან აკადემიური საბჭოს წევრები.
- 6.3. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე არის უნივერსიტეტის რექტორი.
- 6.4. აკადემიური საბჭოს კომპეტენციებს განეკუთვნება ამ წესდებით და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილებანი.



6.5. აკადემიური საბჭოს ფუნქციონირებისა და გადანაცვებების მიღების წესი განისაზღვრება აკადემიური საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 7. უნივერსიტეტის ძირითადი ადმინისტრაციული ერთეული (სკოლა/ინსტიტუტი); უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულები

7.1. უნივერსიტეტის სკოლა/ინსტიტუტი არის უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში ან/და ახორციელებს სხვა აკადემიურ-სამეცნიერო საქმიანობას.

7.2. უნივერსიტეტის რექტორის გადანაცვებით, სხვადასხვა სამეცნიერო, კვლევითი, კულტურული, შემოქმედებითი, ტექნიკური და ეკონომიკური საქმიანობის განვითარების მიზნით, იქმნება და ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეულები - სამეცნიერო, კვლევითი, სასწავლო, საინფორმაციო და სხვა ინსტიტუტები ან ცენტრები.

7.3. უნივერსიტეტის რექტორის გადანაცვებით შესაძლებელია შეიქმნას შესაბამისი სკოლისთვის/საგანმანათლებლო პროგრამისთვის საკონსულტაციო ორგანო - მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება შესაბამისი სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლებისგან.

მუხლი 8. დეკანი

8.1. დეკანს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი დამფუძნებელთან შეთანხმებით.

8.2. დეკანი პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ძირითადი ადმინისტრაციული ერთეულის საქმიანობის ორგანიზებაზე;

8.3. ამ წესდების შესაბამისად ახორციელებს უნივერსიტეტის ძირითადი ადმინისტრაციული ერთეულის ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე სხვა უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 9. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსი

9.1. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსი შედგება აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისაგან, რომელთა საქმიანობას აწესრიგებს უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესი. პერსონალის შრომითი ურთიერთობები რეგულირდება უნივერსიტეტთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (ასევე, შრომითი ხელშეკრულების დანართების) საფუძველზე.

9.2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.



- 9.3. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.
- 9.4. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მათ.
- 9.5. ასისტენტი, პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.
- 9.6. უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დაკავება ხდება ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
- 9.7. კონკურსი წარმოებს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპებზე დაყრდნობით, უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვის, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპზე დაყრდნობით.
- 9.8. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.
- 9.9. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
- 9.10. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი. ასისტენტ-პროფესორი თანამდებობაზე აირჩევა 3 ან 4 წლის ვადით.
- 9.11. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 ან 4 წლის ვადით.
- 9.12. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- 9.13. პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე პირი აირჩევა 3-4 წლის ვადით.



საქართველოს აკადემიური უნივერსიტეტი

- 9.14. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების მიზნით მოქმედებს საკონკურსო კომისია, რომლის წევრები არიან:
- ა) რექტორი;
 - ბ) კანცლერი;
 - გ) პრორექტორები.
- 9.15. საკონკურსო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გამამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
- 9.16. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, საკონკურსო კომისიაში შეიძლება სათათბირო ხმის უფლებით მონაწილე იქნეს უნივერსიტეტის სხვა თანამშრომელი.
- 9.17. კონკურსის სამართლიანად, კვალიფიციურად და ობიექტურად ჩატარების მიზნით, საკონკურსო კომისია კონკურსის გამოცხადების შემდეგ, საჭიროებისამებრ, ქმნის სპეციალიზირებულ ქვეკომისიებს და ამტკიცებს მათ შემადგენლობას. ქვეკომისიის გადაწყვეტილებას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს.
- 9.18. სპეციალიზირებული ქვეკომისია წყვეტს საქმიანობას კონკურსის დასრულებისთანავე.
- 9.19. აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების მიზნით უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას კონკურსის გამოცხადების თაობაზე.
- 9.20. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.
- 9.21. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
- 9.22. განცხადება დამატებით შეიძლება გამოქვეყნდეს სხვა ვებ-გვერდზე ან/და საინფორმაციო საშუალებებში.
- 9.23. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატებმა ელექტრონულად უნდა წარადგინონ შემდეგი ძირითადი დოკუმენტები:
- ა) ბიოგრაფია/რეზიუმე (CV), ქართულ ან/და ინგლისურ ენაზე;
 - ბ) სამოტივაციო წერილი (არა უმეტეს ერთი გვერდისა);
 - გ) სილაბუსი, რომელიც აღწერს კურსის მიზანს, შინაარსს, სწავლის შედეგებს, სწავლების მეთოდოლოგიას და სასწავლო კურსის დროს გამოყენებულ ძირითად და დამხმარე ლიტერატურას;
 - დ) ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი ან ცნობა დოქტორანტურაში სწავლის შესახებ;
 - ე) პუბლიკაციების ჩამონათვალი.
- 9.24. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად.
- 9.25. კონკურსის პირველ ეტაპზე კანდიდატთა შერჩევა ხდება წარდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე.



- 9.26. კონკურსის მეორე ეტაპზე ტარდება გასაუბრება კანდიდატთან, კანდიდატის მიერ საჩვენებელი ან საჯარო ლექციის ჩატარება, კვლევითი პროგრამის პრეზენტაცია, ან/და სხვა სახის დამატებითი პროცედურის განხორციელება, რაც აუცილებელია აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველის კვალიფიკაციისა და უნარების შესამოწმებლად.
- 9.27. საკონკურსო კომისიას ასევე უფლება აქვს, მოიწვიოს კონსულტანტი/სპეციალისტი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს კანდიდატის შეფასებაში.
- 9.28. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს დანიშნოს დამატებითი გასაუბრება, საჩვენებელი ან საჯარო ლექცია, კვლევითი პროგრამის პრეზენტაცია, ან/და სხვა სახის დამატებითი პროცედურა, რაც აუცილებელია აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველის კვალიფიკაციისა და უნარების შესამოწმებლად.
- 9.29. კომისიის გადანყვეტილება ფორმდება წერილობითი ფორმით. ასევე, შესაძლებელია განხორციელდეს პროცესის აუდიო- და ვიდეო ჩანერა.
- 9.30 უნივერსიტეტი უფლებამოსილია შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვიოს მასწავლებელთა პერსონალი.
- 9.31. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.
- 9.32. უნივერსიტეტი უფლებამოსილია აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.
- 9.33. უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით, უფლებამოსილია მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისთვის მიანიჭოს საპატიო დოქტორის/ემერიტუსის წოდება.
- 9.34. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი, შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, რის შემდეგაც პერსონალთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.
- 9.35. უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული თანამდებობების მქონე პერსონალი უფლებამოსილია სათანადო კვალიფიკაციის ფლობის შემთხვევაში, პარალელურად ეკავოს სხვა აკადემიური, სამეცნიერო ან ადმინისტრაციული თანამდებობა.
- 9.36. უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პერსონალი. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შერჩევის მიზნით გამოაცხადოს კონკურსი.



მუხლი 10. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები

- 10.1. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი/ინსტიტუტი არის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, სადაც წარმართება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.
- 10.2. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის/ინსტიტუტის შექმნის/გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი დამფუძნებელთან შეთანხმებით.
- 10.3. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის/ინსტიტუტის სამეცნიერო/კვლევით საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც მონაწილეობას იღებს ცენტრში/ინსტიტუტში არსებულ სამეცნიერო/კვლევით საქმიანობაში.
- 10.4. ცენტრის/ინსტიტუტის ადმინისტრირებას ახორციელებს ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი.

მუხლი 11. განსაკუთრებული წოდებები

- 11.1. უნივერსიტეტის რექტორი, უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოების, სადისერტაციო საბჭოების ან უნივერსიტეტის ფაკულტეტის/სკოლის წარდგინების საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას განსაკუთრებული წოდების მინიჭების თაობაზე.
- 11.2. რექტორი იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გამორჩეული პროფესორის და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის/ემერიტუსის განსაკუთრებული წოდებების მინიჭების თაობაზე.
- 11.3. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გამორჩეული პროფესორი (Distinguished Professor) წარმოადგენს განსაკუთრებულ წოდებას, რომელიც ენიჭება საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული, საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილისათვის.
- 11.4. გამორჩეული პროფესორის წოდება ენიჭება უნივერსიტეტის პროფესორს ან სხვა მეცნიერს. ეს უკანასკნელი არის უნივერსიტეტის მოწვეული მეცნიერი.
- 11.5. გამორჩეული პროფესორის, როგორც მოწვეული მეცნიერის, უფლება-მოვალეობებია:
 - 11.5.1. უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობა;
 - 11.5.2. უნივერსიტეტში მეცნიერული კვლევის წარმოება და ლექციების ჩატარება;
 - 11.5.3. უნივერსიტეტის სახელით სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა საქართველოში და ქვეყნის გარეთ;



- 11.5.4. უნივერსიტეტის აკადემიური და სათათბირო ორგანოების მუშაობაში მონაწილეობის მიღება;
- 11.5.5. დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელობა;
- 11.5.6. სამეცნიერო პროექტების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების მოძიებაში უნივერსიტეტის მხარდაჭერა.
- 11.6. გამორჩეული პროფესორის წოდების მინიჭება ხდება საგანგებო საზეიმო ცერემონიაზე, სადაც გამორჩეულ პროფესორს გადაეცემა სამკვერდე ნიშანი, სიგელი და მანტია.
- 11.7. საპატიო დოქტორი (Doctor Honoris Causa) / ემერიტუსი (Emeritus) წარმოადგენს განსაკუთრებულ წოდებას, რომელიც ენიჭება საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს მეცნიერების ან/და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.
- 11.8. კანონმდებლობის შესაბამისად საპატიო დოქტორის/ემერიტუსის წოდების მქონე პირს იმავდროულად არ შეიძლება ეკავოს უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობა.
- 11.9. საპატიო დოქტორის/ემერიტუსის, როგორც მონვეული მეცნიერის, უფლება-მოვალეობებია:
- 11.9.1. უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობა;
- 11.9.2. უნივერსიტეტში მეცნიერული კვლევის წარმოება და ლექციების ჩატარება;
- 11.9.3. უნივერსიტეტის სახელით სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა საქართველოში და ქვეყნის გარეთ;
- 11.9.4. უნივერსიტეტის აკადემიური და სათათბირო ორგანოების მუშაობაში მონაწილეობის მიღება;
- 11.9.5. დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელობა;
- 11.9.6. სამეცნიერო პროექტების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების მოძიებაში უნივერსიტეტის მხარდაჭერა.
- 11.10. საპატიო დოქტორის/ემერიტუსის წოდების მინიჭება ხდება საზეიმო ცერემონიაზე, სადაც საპატიო დოქტორს/ემერიტუსს გადაეცემა სამკვერდე ნიშანი, სიგელი და მანტია.
- 11.11. უნივერსიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე უნივერსიტეტში შეიძლება არსებობდეს საპატიო დოქტორის/ემერიტუსის სახელობის ლაბორატორიები, აუდიტორიები, სტიპენდიები და სხვა.

მუხლი 12. სტუდენტი

12.1. უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს სრულად ისარგებლოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებებით, ხოლო უნივერსიტეტი ვალდებულია განუხრელად აღასრულოს და ხელი შეუწყოს სტუდენტს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობაში.

12.2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის უზრუნველყოს სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა.

12.3. სტუდენტი ვალდებულია ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა, დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, სტუდენტის ეთიკის კოდექსი, გამოცდების ჩატარების წესი და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა აქტები.

12.4. სტუდენტის მიერ სტუდენტის ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, დისციპლინური წარმოების საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო. ეთიკის საბჭოს რეგლამენტსა და შემადგენლობას ამტკიცებს რექტორი.

12.5. სტუდენტს უფლება აქვს, დაესწროს ეთიკის საბჭოს განხილვას და ასევე, სასამართლოში გაასაჩივროს უნივერსიტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება. უნივერსიტეტი ვალდებულია ინფორმაცია სტუდენტის აკადემიური მოსწრებისა და მის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების შესახებ შეინახოს განცალკევებულად. სტუდენტის შესახებ ინფორმაციის შენახვისას ადმინისტრაცია ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.6. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას/მის კონკრეტულ წარმომადგენელს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის აქტებით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს. ყველა მტკიცებულება, რომლებიც დისციპლინური წარმოების საფუძველია, უნდა გამოიკვლიოს უნივერსიტეტმა. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სამართლიანი პროცედურის გზით.

12.7. უნივერსიტეტი ვალდებულია თითოეული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი გახადოს სტუდენტის ეთიკის კოდექსი, რომელიც აწესებს შეზღუდვას სტუდენტის ქცევაზე და უკავშირება საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას. უნივერსიტეტი სტუდენტის ეთიკის კოდექსში დეტალურად განსაზღვრავს ქცევის წესს, რომელიც იწვევს სტუდენტის დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

12.8. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა სტუდენტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

12.9. სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს როგორც შიდა, ასევე სწავლების მეორე წლიდან გარე მობილობის უფლებით, საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 13. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

13.1. სტუდენტის სტატუსი შეიძლება შეჩერებულ იქნეს არაუმეტეს 5 წლის ვადით. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

13.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

13.2.1. სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევა;

13.2.2. აკადემიური შვებულება;

13.2.3. სტუდენტის პირადი განცხადება;

13.2.4. უნივერსიტეტისადმი ფინანსური დავალიანების არსებობა;

13.2.5. სტუდენტის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება;

13.2.6. თუ ბაკალავრიატის სტუდენტი სწავლის დაწყებიდან 10 სემესტრის განმავლობაში ვერ მიიღებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამისი ოდენობის კრედიტებს.

13.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორი და გამოიცემა შესაბამისი ბრძანება.

13.4. სტუდენტის აკადემიური შვებულების საფუძველია:

13.4.1. საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

13.4.2. სავალდებულო სამხედრო სამსახური;

13.4.3. ხანგრძლივი შრომისუუნარობა;

13.4.4. ოჯახური პირობები/გარემოებები.



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

13.4.5. პირადი განცხადება (მათ შორის, მიზნის მითითების გარეშე).

13.5. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რაოდენობაში.

13.6. სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტს შეუჩეროს სტუდენტის სტატუსი.

13.7. სტატუსის აღდგენის მიზნით, სტუდენტი წერილობითი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

13.8. სტუდენტს სტატუსი აღუდგება უახლოესი სემესტრის დაწყებამდე, რექტორის ბრძანების საფუძველზე. სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდეგ, შესაბამისი სასწავლო წლის პირობებით სწავლის გაგრძელების მიზნით, სტუდენტი ვალდებულია მიმართოს უნივერსიტეტის, დადგენილ ვადაში და გააფორმოს ხელშეკრულება მიმდინარე წლის პირობებით.

მუხლი 14. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

14.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

14.1.1. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

14.1.2. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

14.1.3. პირადი განცხადება;

14.1.4. სტუდენტის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც გამოირიცხავს სტუდენტის მონაწილეობის შესაძლებლობას სასწავლო პროცესში;

14.1.5. სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევის საფუძველზე, უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილება;

14.1.6. გარდაცვალება.

14.2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო სტუდენტს შეუწყვიტოს სტუდენტის სტატუსი და ასევე, გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

14.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული შედეგები დგება სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის



საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან და სხვა მარეგულირებელ აქტებთან.

14.4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. ინტერესთა კონფლიქტი

15.1. ინტერესთა კონფლიქტად განიხილება დასაქმებულის მიერ სხვა პირისათვის სამუშაოს შესრულება უნივერსიტეტისათვის წინასწარი წერილობითი შეტყობინებისა და უნივერსიტეტისაგან სათანადო თანხმობის მიღების გარეშე.

15.2. ინტერესთა კონფლიქტად განიხილება დასაქმებულის მიერ ნებისმიერი მოკლე თუ გრძელვადიანი სამუშაოს შესრულება იმ პირისათვის, რომელიც უნივერსიტეტის კონკურენტი ან პოტენციური კონკურენტია.

15.3. ინტერესთა კონფლიქტად განიხილება დასაქმებულის მიერ ისეთი სამუშაოს შესრულება, რომელიც თავისი არსით შეუთავსებელია უნივერსიტეტის მისიასთან და მიზნებთან ან/და რეპუტაციულ ზიანს აყენებს უნივერსიტეტს.

15.4. დასაქმებული ვალდებულია უნივერსიტეტთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში უნივერსიტეტში მუშაობის შედეგად მიღებული ინფორმაცია ან გამოცდილება არ გამოიყენოს უნივერსიტეტის ინტერესების საზიანოდ, ან უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის შემცირების მიზნით.

15.5. დასაქმებულის მიერ ამ მუხლის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება და დასაქმებულს დააკისროს უნივერსიტეტისათვის მიყენებული ზიანის თანაზომიერი ფინანსური სანქციები.

მუხლი 16. ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

უნივერსიტეტის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უნივერსიტეტის დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებანი

17.1. წინამდებარე წესდებაში ცვლილებებს ან/და ახალ წესდებას ამტკიცებენ უნივერსიტეტის პარტნიორები/დამფუძნებლები.

17.2. წინამდებარე წესდების რომელიმე დებულების ძალადაკარგულად ან ბათილად აღიარება გავლენას არ ახდენს წესდების დანარჩენი მუხლების იურიდიულ ძალაზე.